

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის ანგარიში

შპს სოლვევა საქართველო

2022 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	8
2 შედგენის საფუძველი	8
2.1 განცხადება შესაბამისობის საფუძველზე	8
2.2 მომზადების საფუძველი	8
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	8
2.4 შეფასების და მოსაზრების გამოყენება	9
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	9
3.1 უცხოური ვალუტა	9
3.2 ძირითადი საშუალებები	9
3.3 ძირითადი საშუალებების გაუფასურება	10
3.4 იჯარა	10
3.5 ფინანსური ინსტრუმენტები	10
3.6 ფული და ფულის ექვივალენტები	12
3.7 კაპიტალი	12
3.8 მოგების გადასახადი	12
3.9 თანამშრომელთა სარგებელი	13
3.10 შემოსავალი	13
4 ძირითადი საშუალებები	15
5 მიღებული სესხები	15
6 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
7 ადმინისტრაციული ხარჯები	16
8 მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	16
9 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები	16
9.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები	16
10 სამართლიანი ღირებულებით შეფასება	16
11 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება	17
12 გადასახადები	17
13 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები	17
14 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17
15. ფინანსური რისკის ფაქტორები	18

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ს.გ. 200136600
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
ID: 200136600
T + 995 322 604 406

შპს „სოლვეკა საქართველო“-ს დამფუძნებელს

შევადგინეთ შპს „სოლვეკა საქართველო“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410-ის (გადასინჯული) – “კომპილაციური გარიგებები” – შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვვალდება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

30 სექტემბერი 2023

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4	173,178
		173,178
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		94,843
ფული და ფულის ექვივალენტები	5	183,269
სხვა ინვენტარი		85
		278,197
სულ აქტივები		451,375
კაპიტალი და ვალდებულებები		
საწესდებო კაპიტალი		164
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		182,040
		182,204
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები		134,053
		134,053
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		3,369
გადასახდელი ხელფასები		128,122
სესხებზე გადასახდელი პროცენტი		3,116
დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტში		509
		135,117
		269,170
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		451,375

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2023 წლის 30 სექტემბერს:

როუვენ ობერჰოლცერი

აღმასრულებელი დირექტორი

თანდართული შენიშვნები 8-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან		2,505,786
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(1,977,302)
მთლიანი მოგება		528,484
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(301,540)
საოპერაციო მოგება / ზარალი		(301,540)
მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	8	(39,044)
ფინანსური ხარჯები		(3,121)
სხვა არასაოპერაციო ზარალი		(2,934)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა		196
მოგება დაბეგვრამდე		(44,904)
მოგების გადასახადის ხარჯი		
წმინდა შემოსავალი		182,040
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		182,040

თანდართული შენიშვნები 8-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი	-	182,040	182,040
მთლიანი შემოსავალი წლის განმავლობაში	-	182,040	182,040
საწესდებო კაპიტალის ზრდა	164	-	164
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>164</u>	<u>182,040</u>	<u>182,204</u>

თანდართული შენიშვნები 8-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის წმინდა მოგება		182,040
წმინდა სავალუტო მოგება/(ზარალი)		(39,044)
		<u>142,997</u>
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(94,843)
ცვლილება ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებაში		509
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,369
ცვლილება ინვენტარში		(85)
ცვლილება სესხებზე გადასახდელი პროცენტებში		3,117
ცვლილება გადასახდელ ხელფასებში		128,122
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		<u>183,186</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(173,178)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		<u>(173,178)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი		134,053
ცვლილება საწესდებო კაპიტალში		164
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		<u>134,217</u>
წმინდა ცვლილება ნაღდი ფულისა და ფულადი ნაკადების ექვივალენტებში		<u>144,225</u>
სავალუტო ცვლილების ეფექტი		39,044
ფულისა და ფულადი ნაკადების ექვივალენტები წლის ბოლოს		<u><u>183,269</u></u>

თანდართული შენიშვნები 8-17 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „სოლვევა საქართველო“ („კომპანია“) დაარსდა 2022 წლის 23 მარტს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 406359015; რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ) საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში.

სოლვევას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების შექმნა და მიწოდება, ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის კოდი 58.2 (პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა) და 62.09 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები მიხედვით. ფინანსური ინდუსტრიისთვის კომპანია ქმნის უახლესი თაობის პროგრამულ უზრუნველყოფას, დიდწილად ფოკუსირებულნი არიან სადაზღვევო კომპანიების ბიზნეს პროცესების ტექნოლოგიურ მხარდაჭერაზე.

კომპანიის დამფუძნებელი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის:

დამფუძნებელი	რეგისტრაციის ადგილი	2022 წლის 31 დეკემბერი
სს „Solveva AG“	შვეიცარია	100%

შპს „სოლვევა საქართველო“-ს 2022 წლის პირველი აგვისტოდან მინიჭებული აქვს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, საქართველოს მთავრობის მიერ. საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, სოლვევა აძლევს საშუალებას, რომ მიიღოს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები. კერძოდ, კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი დაიბეგრება 5%-ით ნაცვლად 20%-სა. ასევე მოგების გადასახადი განისაზღვრება 5%-ით ნაცვლად 15%-სა.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის საფუძველზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („მსს ფასს“), რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ („ბასს“). ისინი მომზადებულია იმ ვარაუდით, რომ კომპანია მუშაობს მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვა რამ არ არის მითითებული) და დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მცირე და საშუალო ბიზნესების მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები და ვარაუდი, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.8844. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლობის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ოფისის აღჭურვილობა

- 5 წელი

3.3 ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.4 იჯარა

იჯარა, რომელშიც მესაკუთრის მიერ დაცულია საკუთრების ყველა რისკი და სარგებელი, კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარით განხორციელებული გადახდები გადადის მოგება/ზარალში დარიცხვის მეთოდით.

ქონების და აღჭურვილობის იჯარა, სადაც დამქირავებელს გააჩნია საკუთრების ყველა რისკი და სარგებელი, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე, იჯარით გაცემული ქონების სამართლიანი ღირებულებისა და იჯარის მინიმალური გადახდების დღევანდელი ღირებულებით.

სოლვევას ქალაქ ბათუმში, კერძოდ კი ჰაიდარ აბაშიძის 19 ნომერში იჯარით აქვს აღებული ოფისი.

მომწოდებელი არის ფიზიკური პირი - ლელა გეგენავა, იგი ინდივიდუალური მეწარმეა და სარგებლობს მცირე ბიზნესის სტატუსით.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელმძღვანელო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელმძღვანელო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელმძღვანელებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად იზომება სამართლიანი ღირებულებას დამატებული გარიგების ხარჯები, გარდა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში, რომლებიც თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

შემდგომი გაზომვის მიზნით, ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, იყოფა შემდეგ კატეგორიებად პირველადი აღიარებისთანავე:

- სესხები და მოთხოვნები

- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში
- გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები
- ინვესტიციები დაფარულ ვადამდე.

ფინანსური აქტივები ენიჭება სხვადასხვა კატეგორიას პირველადი აღიარებისას, ინსტრუმენტის მახასიათებლებისა და მისი მიზნის მიხედვით. ფინანსური ინსტრუმენტის კატეგორია აქტუალურია მისი გაზომვისთვის, არის თუ არა მიღებული შემოსავალი და ხარჯები აღიარებული მოგება/ზარალში ან სხვა გაერთიანებულ შემოსავალში.

ზოგადად, კომპანია აღიარებს ყველა ფინანსურ აქტივს ანგარიშწორების თარიღისთვის, ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება ყოველ ჯერზე ანგარიშგების თარიღისათვის. ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, წარმოდგენილია ფინანსური ხარჯების, ფინანსური შემოსავლების ან სხვა ფინანსური ერთეულების ფარგლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებების გაუფასურებისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის გაწერილი აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულადი სახსრებისა და ბანკის ნაშთებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი იზომება ამორტიზებულ ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების დავალიანების გაუფასურების დებულება დგინდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს შეაგროვოს ყველა თანხა მოთხოვნებისა და დავალიანების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. მოვალის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები და გადახდების შეუსრულებლობა და ვადაგადაცილება ითვლება ინდიკატორებად, რომ სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურებულია. რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებას და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებას შორის, დისკონტირებული ორიგინალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

შემწეობის ბალანსი მორგებულია საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალის ანაზღაურების ან შემოსავლის ჩაწერით. კლიენტის ანგარიშის ნაშთებთან დაკავშირებით ჩამოწერილი ნებისმიერი თანხა ირიცხება საექვო ანგარიშების არსებული შემწეობის წინააღმდეგ. ყველა დებიტორული დავალიანება რისთვისაც კოლექცია არ ითვლება სავარაუდოდ ჩამოწერილია.

საბანკო ნაშთები

კომპანიის საბანკო ნაშთები მოიცავს საბანკო ანგარიშებს.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, წმინდა სესხის აღებასთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებიდან. კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით, ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სესხებთან დაკავშირებული სხვა ხარჯები არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შესყიდვასთან, აშენებასთან ან შექმნასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც ამ აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ასახულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი.

3.6 ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი და საბანკო ნაშთები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებს.

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული ლარში	-
ნაღდი ფული ევროში	-
ლარი საბანკო ანგარიშებზე	-
ევრო საბანკო ანგარიშებზე	183,270
	<u>183,270</u>

წლის ბოლოს კომპანიის ევროს საბანკო ანგარიშზე ირიცხება 183,270 ლარი, რომლის შესაბამისი ექვივალენტი ევროში უდრის 63,538 ევროს.

3.7 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს აქციონერის შენატანებს კომპანიის წესდებაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

აკუმულირებული ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულია.

კომპანიის განთავსებული კაპიტალი ე.წ. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 164 ლარს.

3.8 მოგების გადასახადი

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიცი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85.

კორპორატიული შემოსავლების დაბეგრის ამჟამინდელი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და მათ საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი განსხვავებები არ არსებობს. ამრიგად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 საშემოსავლო გადასახადი, არ ფორმირდება 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს, შეამციროს მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა კონკრეტული ხარჯებით, რომლებიც საქართველოში გაწიეს.

- საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი დაქირავებული პირისათვის გადახდილი ხელფასის ხარჯი
- საერთაშორისო კომპანიისათვის ნებადართული საქმიანობ(ებ)ის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები.

გამომდინარე იქედან რომ მპს „სოლვევა საქართველო“ სარგებლობს საერთაშორისო კომპანიის სტატუსით, მოგების გადასახადის გამოთვლა და გადახდა ხდება საქართველოს რეზიდენტი სხვა მპს-ებისგან განსხვავებული მეთოდით, კერძოდ კი ყოველთვიური მოგების გადასახადის განაკვეთი სოლვევასათვის

განისაზღვრება არა 15%-ით არამედ 5%-ით, ხოლო დივიდენდის განაწილებისას კი საერთოდ არ გადაიხდის კომპანია მოგების გადასახადს, ანუ ისარგებლებს 0%-იანი განაკვეთით.

3.9 თანამშრომელთა სარგებელი

მოკლევადიანი თანამშრომლის სარგებელი არის სარგებელი, რომელიც მოსალოდნელია სრულად დაფარული წლიური საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან თორმეტ თვემდე, რომელშიც თანამშრომლები გაწევენ შესაბამის მომსახურებას და მოიცავს:

- (a) ჯილდოებს, ხელფასებსა და ბონუსებს/
- (b) ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი;

როდესაც თანამშრომლები მომსახურებას უწევენ კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანია აღიარებს თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებლის არაპროგნოზირებულ თანხას, რომელიც მოსალოდნელია გადაიხადოს ამ მომსახურების სანაცვლოდ:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი), უკვე გადახდილი თანხის გამოქვითვის შემდეგ. თუ უკვე გადახდილია თანხა გადააჭარბებს სარგებლის არა დისკონტირებულ რაოდენობას, კომპანიამ უნდა აღიაროს ეს ჭარბი აქტივი (წინასწარ გადახდილი ხარჯი) იმდენად, რამდენადაც წინასწარი გადახდა გამოიწვევს მომავალი გადახდების შემცირებას ან ფულად ანაზღაურებას.
- (b) ხარჯის სახით, თუ თანხა არ შედის აქტივის ღირებულებაში.
- (c) გადასახდელი წლიური ბონუსები:

2022 წლის ბოლოს კომპანიამ თანამშრომლებს გადაუხადა წლიური ბონუსები, რომელთა ჯამურმა თანხამ შეადგინა 3,298,638 ლარი

3.10 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას ან მისაღებ საქონელს.

შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის, შემოსავლების, ფასდაკლებებისა და ფასდაკლებების გარეშე და ჯგუფში გაყიდვების აღმოფხვრის შემდეგ.

კომპანიას 2022 წლის პირველი აპრილიდან სს „სოლვევა AG“-სთან გაფორმებული აქვს სერვისის მიწოდების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კონტრაქტით გათვალისწინებული პროექტის შესასრულებლად სოლვევა AG ყოველთვიურად გადაუხდის სოლვევა საქართველოს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას. ამავე კონტრაქტითაა გათვალისწინებული ანაზღაურების დათვლის მეთოდი, კერძოდ კი პროექტზე მომუშავე სხვადასხვა რაოდენობისა და პოზიციის თანამშრომლებისთვის გადაიხდის სხვადასხვა თანხას. გთხოვთ იხილოთ პოზიციებისა და შესაბამისი ანაზღაურების ცხრილი.

თვის ბოლოს ვაჯამებთ რა პოზიციის რამდენი თანამშრომელი იყო ჩართული პროექტში და ვიღებთ იმ თვის რეალიზაციის თანხას.

Position	EUR per month, excl. VAT
Senior Software developer	6'000
Qualified Software developer	4'250
Junior Software developer	3'000
Senior Quality assurance	5'500

Qualified Quality assurance	3'800
UI / UX Designer	4'000
DevOps	4'250
System Administrator	3'000
Technical support	3'000

4 ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და საოფისე ტექნიკა	სულ
ისტორიული ღირებულება 2022 წელი 1 იანვარი	-	-	-
შემოსვლა	186,833	762	187,594
გასვლა	-	-	-
2022 წელი 31 დეკემბერი	186,833	762	187,594
დაგროვილი ცვეთა			
დაგროვილი ცვეთა 2022 წელი 1 იანვარი	-	-	-
2022 წლის ცვეთა	14,352	64	14,416
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-
2022 წელი 31 დეკემბერი	14,352	64	14,416
საბალანსო ღირებულება			
2022 წელი 1 იანვარი	-	-	-
2022 წელი 31 დეკემბერი	172,480	698	173,178

კომპანიის არცერთი ქონება და აღჭურვილობა არ არის ჩადებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ანგარიშგების თარიღისათვის.

5 მიღებული სესხები

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი
მიღებული სესხები	144,482
სულ მიღებული სესხები	144,482

სესხი	მსესხებელი	ძირი თანხა ორიგინალ ვალუტაში (EUR)	ძირი თანხა ადგილობრივ ვალუტაში (GEL)	ხელშეკრულების თარიღი	საბოლოო თარიღი	წლიური საპროცენტო განაკვეთი
სესხი 1	"Solveva" AG	46,476	144,482	08.04.2022	30.12.2023	4%

6 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი
პირდაპირი ხელფასი	1,943,709
ცვეთა და ამორტიზაცია	14,416
	1,958,126

7 ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი
მიწოდების ხარჯები	103
შრომის ანაზღაურება	232,518
სოციალური დანარიცხები	262
საიჯარო ქირა	41,350
საოფისე ინვენტარი	1,391
სამივლინებო ხარჯები	70
საკონსულტაციო ხარჯები	40,973
სხვა საგადასახდო ხარჯი	164
საბანკო მომსახურება	1,753
სხვა საერთო ხარჯი	2,132
	320,716

8 მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულება	50,734
ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულება	(89,778)
	(39,044)

9 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

9.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული საადრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

10 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანია გვთავაზობს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 ღონეზე. თითოეული ღონე განხილულია ქვემოთ:

- ღონე 1 – სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.

- დონე 2- სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- დონე 3- სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკებზე, რომელიც იყენებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე ღია დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

11 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით

სესხების საბალანსო ღირებულება ითვლება სამართლიანი ღირებულების გონივრულ მიახლოებად.

12 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

13 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა ორი სახის ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარეებთან.

- მომსახურების მიწოდება

სოლვევა საქართველო უზრუნველყოფს IT მომსახურების მიწოდებას Solveva AG-სთვის. აქედან გამომდინარე, კომპანიის ძირითადი შემოსავლები მიიღება დაკავშირებული მხარეებისგან. 2022 წელს მთლიანმა შემოსავალმა 2,505,786 ლარი შეადგინა.

- მიღებული სესხები

სოლვევა საქართველო-მ მიიღო სესხი დაკავშირებული მხარისგან, კერძოდ კი, Solveva AG -ისგან, საოპერაციო მიზნებისთვის 2022 და 2023 წლებში. სესხთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესახებ დეტალები შეგიძლიათ იხილოთ მე-5 შენიშვნაში.

14 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა.

დასაქმებულთა რაოდენობის ზრდამ განაპირობა ხელფასისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა, თანამშრომელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, ასევე საგრძნობლად გაიზარდა ძირითადი საშუალებების შესყიდვების (ლეზტოპების) რაოდენობა. საოფისე ტექნიკისა და ოფისის აღჭურვილობის საბალანსო ღირებულება 2022 წლის დეკემბრის ბოლოს შეადგენს 173,178 ლარს.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის ფლობა კომპანიას აძლევს მრავალ ბენეფიტს, მათ შორისაა გათავისუფლება ქონების გადასახადისაგან, ანუ კომპანიისთვის ქონების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება 0%-ით

კომპანიას დამფუძნებელი კომპანიისაგან ჰქონდა აღებული სესხი, რომლის ძირიც და პროცენტიც (საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული იყო 4%-ით) სრულად დაფარა 2023 წელს. რაც შეეხება არარეზიდენტისთვის გადახდილი პროცენტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საქართველოს

ბიუჯეტში, ვინაიდან დამფუძნებელი კომპანია არის შვეიცარიის რეზიდენტი და ამ ქვეყანასთან საქართველოს გაფორმებული აქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სესხის პროცენტი დაიბეგრება შვეიცარიაში და არა საქართველოში.

15. ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან და იჯარასთან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკს.

ა) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.